დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 51 08
19/07/2019

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საწვავის ხარჯის ყოველთვიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, 16-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 24-ე მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების მიერ, სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისა და საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის (ბენზინი, პრემიუმი) ყოველთვიური ლიმიტი შემდეგი ოდენობით:

ა) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე- 40 ლიტრი;

ბ) საკრებულოს კომისიები (თავმჯდომარეები) - 40 ლიტრი თითოეულს.

გ) საკრებულოს ფრაქციები (თავმჯდომარეები, მოადგილეები) - 40 ლიტრი თითოეულს;

2. საკრებულოს სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების მიზნით, განსაკუთრებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, ყოველთვიურად შეძენილი იქნას დამატებით (სარეზერვოდ) 150 ლიტრი საწვავი, აქედან 100 ლიტრი ბენზინი (პრემიუმი), 50 ლიტრი დიზელი (ევროდიზელი).

3. დამტკიცდეს საწვავის ტალონების მიღება-ჩაბარების აქტის ფორმა (დანართი №1) და საწვავის ჩამოწერის აქტი (დანართი №2).

4. საწვავის გაცემის დადასტურება მოხდეს, ორმხრივად, საკრებულოს საწვავის მიღებასა და გაცემაზე განსაზღვრული პასუხისმგებელი პირისა და საწვავის მიმღების მიერ ყოველთვიურად, საწვავის ტალონების მიღება-ჩაბარების აქტებსა და საწვავის ჩამოწერის აქტებზე ხელმოწერით.

5. საკრებულოს საწვავის მიღება-გაცემაზე საწვავის მომწოდებელ კომპანიასა და საწვავის მიმღებთა შორის პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - სოფიო ასლამაზაშვილი.

6. განკარგულება ამოქმედდეს 2019 წლის 1 თებერვლიდან.

7. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

საწვავის ტალონების მიღება-ჩაბარების აქტი N

დანართი 1

	თარიღი	სატრანსპორტო საშუალება	სახელმწ. N	ტალონის მიმღები პირის სახელი და გვარი	საწვავის სახე	გაცემულია ტალონი ლიტრ საწვავზე	ტალონის მიმღები პირის ხელმოწერა

უფლებამოსილი პირი: / /

საწვავის ჩამოწერის აქტი N

დანართი 2

N	სატრანსპორტო საშუალება	სახელმწ. N	საწვავის მიმღები პირის სახელი და გვარი	თანამდებობა	გახარჯული საწვავის სახე	გახარჯული საწვავის ოდენობა	მიზნობრიობა	ხელმოწერა